„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. ბაბეტაძე
“11“ 10 2024 წ.

GEORGIAN CHESS FEDERATION • 203845385 • 1877

საქართველოს ჩემპიონატი 7 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის
2 - 6 ნოემბერი, 2024 წ. ქ. ქუთაისი, მ. ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლა
თაბუკაშვილის ქ. 20

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი “ქუთაისი”.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

02.11-06.11. 2024 წ. ქ. ქუთაისი, მ. ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლა, თაბუკაშვილის ქ. 20.

4. მონაწილენი:

4.1. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს:

4.2. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
- ფიდეს რეიტინგი არ დაითვლება.
- გარკვეულ შემთხვევებში, ტურნირის ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს ტურნირის ჩატარების სისტემა და განრიგი.

6. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 40 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 10 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/ib9KewCpqVRSA2NP6 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 1 ნოემბერი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

7.2. თითოეული მონაწილის სატურნირო საწევრო შესატანია - 30 ლარი.

7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან ჩემპიონატის საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (1 ნოემბრის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ წერილობით განცხადებას შესაბამის დოკუმენტების თანდართვით.

7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში ჩემპიონატის საწევრო შესატანია 60 ლარი.

7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701.

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	2 ნოემბერი	
I ტურის კენჭისყრა	3 ნოემბერი	12:00
გახსნა	3 ნოემბერი	14:45
I ტური	3 ნოემბერი	15:00
II ტური	3 ნოემბერი	17:00
III ტური	4 ნოემბერი	15:00
IVტური	4 ნოემბერი	17:00
Vტური	5 ნოემბერი	15:00
VI ტური	5 ნოემბერი	17:00
VII ტური	6 ნოემბერი	15:00
დახურვა	6 ნოემბერი	17:00

10. გამარჯვებულები:

10.1. I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.

10.2. II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

13. სასტუმრო:

"ოქროს საწმისი" მის: თაბუკაშვილის ქ. 4. საკონტაქტო ტელ: 579104938.

ორადგილიანი ნომერი – 50ლ.; სამადგილიანი ნომერი – 80ლ.

კერძო სექტორი – 1 პერსონა 20–30ლ.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - ალექსანდრე არსენიძე

ორგანიზატორთა საკონტაქტო ტელეფონი - 599 92–96–87